საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 86

ქ. ბათუმი 24 ოქტომბერი, 2016 წ.

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე („ისტორია“ და „ლინგვისტიკა“) დარჩენილ ვაკანტურ ადგილებზე 2016-2017 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის, „ბსუ-ს სადოქტორო პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 19 აგვისტოს №87 დადგენილების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, პროფ. მარინა გიორგაძის მოხსენებითი ბარათის (MES 7 16 01264080, 21.10.2016) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე („ისტორია“ და „ლინგვისტიკა“) დარჩენილ ვაკანტურ ადგილებზე 2016-2017 სასწავლო წლისათვის გამოცხადდეს მიღება:
   - ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა - 2 ადგილი;
   - ლინგვისტიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა - 2 ადგილი;
2. ბსუ-ს რექტორს ეთხოვოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემა;
3. დადგენილება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს შესაბამის ფაკულტეტებს, სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტს, მაგისტრატურის, რეზიდენტურისა და დოქტორანტურის პროგრამების მართვის სამსახურს;
4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**